

**“კახა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე საჯაროდ  
მიაყენა შეურაცხყოფა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა  
გილაურს, რომელმაც ეს შეურაცხყოფა ასევე  
საჯაროდ გადაყლაპა და მშვიდად გააგრძელა თავისი  
სამთავრობო საქმიანობა...”**

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 2-8 თებერვალი, № 5, 2009

„ქრონიკას“ ამ კითხვებს დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტი, ლადო პაპავა პასუხობს:

– ბატონო ლადო, პირველ რიგში დავიწყეთ მოულოდნელი სამთავრობო ცვლილებებით. თქვენი აზრით, რას შეცვლის საქართველოს ეკონომიკაში ყოფილი ფინანსთა-მინისტრის, ნიკა გილაურის გაპრემიერება?

– მოულოდნელი იყო ბატონი გეგა მგალობლიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა, თორემ ბატონი ნიკა გილაურის ამ თანამდებობაზე წარგენა ყველაზე უფრო ლოგიკურია, რადგანც ის მინისტრთა იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ყველაზე უკეთესად მოერგო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მუშაობის სტილს. მკითველს შევახსენებ 2004 წლის შემოდგომას, როცა, იმ დროს ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, ბატონმა კახა ბენდუქიძემ მთავრობის სხდომაზე საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურს, რომელმაც ეს შეურაცხყოფა ასევე საჯაროდ გადაყლაპა და მშვიდად გააგრძელა თავისი სამთავრობო საქმიანობა, ისე თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ასე, რომ ბატონი გილაური არანაირ დისკომფორტს არ შეუქმნის არც პრეზიდენტს და არც თავის კოლეგებს. ის ამაში უკვე კარგადაა გამოცდილი!.. რაც შეეხება კითხვას, თუ რას უნდა მოველოდეთ ახალს ბატონი გილაურისაგან, შეიძლება დარწმუნებით გიპასუხოთ – არც არაფერს

განსაკუთრებულს! მისი საქმიანობა ხელისუფლების მხრიდან წარმატებულად იქნება აღიარებული, თუ კი ის შეძლებს გახდეს მოდერნიზებული ნოლიადელი: თავისი ნებით არ ჩაერიოს არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ეკონომიკაშიც...

**– ეკონომიკის მინისტრი „ქრონიკასთან“ საუბარში ადასტურებს, რომ ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციები პრაქტიკულად არ გააჩნია და ის გეგმავს ამ ფუნქციების სამინისტროსთვის დაბრუნებას. თქვენი აზრით, რამდენად მოახერხებს ლაშა ჟვანია ამის გაკეთებას?**

– პირველ რიგში, მე ნამდვილად არ ვიცი ბატონო ლაშა რას გულისხმობს ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციების აღდგენაში, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ – დღეს საქართველოს, ეკონომიკის სამინისტრო, როგორც ასეთი არ გააჩნია. ეს არა მარტო იმის შედეგია, რომ 2004 წლის ივნისის თვეში ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა კახა ბენდუქიძე, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტრო უნდა დაენგრია, არამედ ეკონომიკის სამინისტროს ნგრევა დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ანუ მაშინ, როდესაც ეკონომიკის სამინისტრო როგორც ასეთი გაუქმდა და მის ადგილას შეიქმნა ეკონომიკის მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო, აბსოლუტურად გაუგებარი ფუნქციებით. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა, რომ ეკონომიკის სამინისტრო გამხდარიყო ფინანსთა სამინისტროს ალტერნატიული ძალა, ეკონომიკაზე კონტროლის დამყარების მიზნით. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო ეკონომიკის სამინისტროს ნგრევა, მისი ფუნქციების დისკრედიტაცია და საკადრო მოშლა. შემდეგ, ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში მინისტრ განქილადის ხელმძღვანელობით ამ სამინისტროს ნგრევა შეჩერებული იქნა. რევოლუციის შემდეგ კი, როდესაც სამინისტროს სათავეში ჩაუყენეს არაპროფესიონალი ახალგაზრდა კაცი, მან სამინისტროს ნგრევა გააგრძელა, რადგან ეს შედიოდა მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ინტერესებში. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეკონომიკის სამინისტრო დასუსტებულიყო. შემდეგ მოდის ბატონო ბენდუქიძე, რომელიც დაუფარავად ამუღანებს თავის ინტერესებს. სხვათა შორის, ეს ბატონი კახას დადებითი თვისებაა, რომ განსხვავებით სხვა პოლიტიკური თუ ფსევდოპოლიტიკური მოღვაწეებისაგან,

არასოდეს დაუმალია თუ რა ზრახვები ჰქონდა ქართულ ეკონომიკაში. მან განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტრო ქვეყანას არ სჭირდება და ის უნდა დაინგრესო. ამის შემდეგ უქმდება ანტიმონოპოლიური და სხვა სამსახურებიც, ხოლო სამინისტროს რჩება მხოლოდ პრივატიზაციის ფუნქცია. რევოლუციის შემდეგ ეკონომიკის სამინისტროს ძალიან ცოტა ხანი ხელმძღვანელობდა პროფესიონალი, მაგრამ მან თავისი ხელი სამინისტროს ვერ დაამჩნია და ვერც დაამჩნევდა, რადგან ჯერ-ერთი მოკლე დროით იყო, მეორეც, თავად არ გახლდათ პოლიტიკურად დამოუკიდებელი, რომ რადიკალური გარდატეხა შეეტანა ეკონომიკის სამინისტროს როლში. მხედველობაში მყავს ბატონი ლექსო ალექსიშვილი. ის, რომ ბატონ ჟვანიამ სამინისტროს მოაცილა ბენდუქიძის ხალხი (რომლებიც წარმატებით გადაბარგდნენ პრემიერ-მინისტრის აპარატში), ან ის, რომ მას აქვს ამბიცია გახდეს ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე საქართველოს მთავრობაში, ეს მისასაღმებელია, მაგრამ მას აქვს ერთი დიდი სუსტი მხარე, რომ ის არ არის პროფესიონალი და თავად არ გააჩნია ელემენტარული საბაზო ცოდნა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა გესმოდეს რას ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკა და მისი მართვა.

**– ის ამბობს რომ ხვდება ექსპერტებს და ითვალისწინებს მათ აზრს. რამდენად კარგია ეს და თქვენთან თუ განმოთქვა შეხვედრის სურვილი?**

– ექსპერტებთან შეხვედრა კარგია, მაგრამ ის ამით ვერ მიიღებს იმ ელემენტარულ საბაზო ცოდნას, რომელსაც სულ ცოტა 5 წელი სწავლა სჭირდება. რაც შეეხება ჩემთან შეხვედრას, იყო ასეთი შემთავაზება მისი აპარატიდან, მაგრამ მას ეს შეხვედრა უნდოდა არა ჩემთან პირადად, არამედ კოლექტივთან ერთად. მე გადავეცი, რომ მზად ვიყავი შეხვედროდი პირადად და გამეზიარებინა ჩემი შეხედულებები. მე მას დეკორაციად ვერ გამოვადგები.

**– ეკონომიკის მინისტრი ამბობს, რომ ბიზნესი გათავისუფლებულია სახელმწიფო წნეხისგან. თქვენ რა შეფასებას გააკეთებდით ამაზე?**

– მას ამის სჯერა? მე არა ვარ ფსიქოლოგი, რომ იმ თვალსაზრისით გავაკეთო შეფასება, თუ რამდენად გუელრწფელია ამ განცხადების გაკეთებისას ბატონი ჟვანია. სჯობს ეს შეკითხვა დაუსვათ ჩემს კოლეგა რამაზ

საყვარელიძეს, რომელსაც, როგორც ფსიქოლოგს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მე შემძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ, ფორმალურად ბიზნესი განთავისუფლებულია წნეხისგან. დიას, ბიზნესის დაწყება საქართველოში ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში. არც ერთ კანონში არ წერია, რომ ვინმეს უფლება აქვს ჩაერიოს კერძო საკუთრებაში, ხელყოს ის, წაართვას ადამიანს ქონება. არსად არ წერია, რომ ვინმეს აქვს უფლება ბიზნესმენებს შეაწეროს შემოსავლები სხვადასხვა პოლიტიკური თუ ფსევდოპოლიტიკური აქციების დასაფინანსებლად, მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში ეს ყველაფერი ხდება და თუ რომელიმე მინისტრი ამას მართლა ვერ ხედავს, ან თვალთმაქცობს, რომ თითქოს ვერ ხედავს, ეს უკვე მისი პრობლემაა. საზოგადოებას ჩვენ ვერ მოვატყვილებთ და თითოეულმა ადამიანმა შესანიშნავად იცის, რომ ბიზნესი უკვე არაერთი წელია სერიოზული სახელმწიფო წნეხის ქვეშ იმყოფება. არა იმიტომ, რომ ეს წნეხი კანონით არის განსაზღვრული, არამედ იმიტომ, რომ საქართველოში კანონის უზენაესობა არ არის დაცული.

**– მინისტრი გეპირდება, რომ მომავალი წლიდან დაიწყება დამატებული ღირებულების გადასახადის 2-3% პროცენტული პუნქტით შემცირება. რამდენად იქნება ეს ფაქტორი ხელშემწყობი ბიზნესის სტიმულირებისათვის?**

– დღეს საქართველოში ბიზნესის სტიმულირებისათვის გადასახადის განაკვეთის შემცირება არ არის მთავარი. მთავარია მთელი ბიზნეს გარემო, რომელიც იქმნება ქვეყანაში – ის, რომ მეწარმე იყოს დაცული, მისი საკუთრება იყოს დაცული, ვისაც ჩამოართვეს ქონება დაუბრუნდეს და ეს იქნება სამართლიანობის განცდის აღდგენა, რომ იყოს დამოუკიდებელი სასამართლო, სადაც მეწარმეები და თითოეული ადამიანები დაიცავენ საკუთარ ინტერესებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მოტანილ დადებით შედეგებზე. გარდა ამისა, როდესაც დღე 20%-დან 18%-მდე შეამცირეს, მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ამ შემცირებას ბიზნესისათვის იმდენი სტიმული არ მიუცია, რამდენადაც ბიუჯეტს მხოლოდ და მხოლოდ პიარისათვის დააკარგვინა შემოსავლები. ახლაც მიმაჩნია, რომ დღე-ს

2-3% პუნქტიანი შემცირება ეს იქნება არა იმდენად ბიზნესის სტიმულირება, რამდენადაც შემოსავლების დაკარგვა ბიუჯეტისათვის...

**დიმიტრი ტიკარაძე**